საქართველოს დამოუკიდებლობა
გამოცხადდა მაისის 26

გაუმარჯოს თავისუფალ საქართველოს!
გაუმარჯოს საქართველოს
დემოკრატიულ რესპუბლიკას!
გაუმარჯოს თავისუფლ ხელოვნებას
თავისუფალ საქართველოში!

,,თეატრი და ცხოვრება''
წლიურად 15 მან., ნახევარი წლით 9 მან. თითო ნომერი—1 მან. ხელის მოწერა მიიღება: თბილისში, ბაზრის ქ. № 20, ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ. Тифлис, ред „ТЕАТРИ ДА ЦХОВРЕБ ,,Іосифу Имедашвил

1918 წ. № 8 კვირა, ივნისის 2 ფასი 1 მან. წელიწადი მეექვსე გამოცემის

საქართველოს ეროვნული მთავრობა

ნოე რამიშვილი (შუაში, ზევით) მინისტრთა თავმჯდომარე და შინაგან საქმეთა მინისტრი; **გიორგი ლასხიშვილი** (მარჯვნივ)—მინისტრი განათლებისა; **გიორგი ყურულა** (მარცხნივ) ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობისა; **აკაკი ჩხენკელი**—გარეშე საქმეთა; **გრიგოლ გიორგაძე**—სამხედრო **ნოე ხომერიკი**—მიწათმოქმედების და შრომის; **შალვა ალ. მესხიშვილი**—იუსტიციისა; **ივანე ლოთქიფანიძე**—გზათა

აღსდგა, აღსდგა!

თავისუფალ საქართველოს თავისუფალო შვილნო! წელში გაიმალენით, თავი მაღლა აიღეთ, მზეს თვალები გაუსწორეთ: დღეიდან თქვენ მონები აღარა ხართ! დღეიდან თქვენ სწორუფლებიანი მოქალაქენი შეიქენით ჩვენი საყვარელი მიწა-წყლის, კეკლუც სამშობლო-საქართველოსი.

ჩვენი მრავალწამებულ სამშობლოს ეგირთა სულმა კიდევ ერთხელ გაშალა ფრთები და, დროთაუკუღმართობ ს ცოდვაში დამწვარ-ჩაფერფლილი, კვლავ აღსდგა, განახლდა!

განახლდა ფენიქსებრ.

საერთაშორისო ძმობა-ერთობის ქურაზე გამოწრთობილი სული ქართველი ერის საუკეთესო შვილთა მშობლის მკერდს დაუბრუნდა: შვილმა მშობელს მიაგნო, მშობელმა შვილი ჩაიხუტა, სულმა სული იცნო და (1918 წლის მაისის 26) ერთხმად შესძახა:

—საქართველო აღსდგა მკვდრეთით.

უცხო დამპყრობელთა მიერ ფეხქვეშ გაქელილი ჩვენი ზურმუხტოვან სამშობლოს მთა-ველები, ვითომ ჩვენი მეგობრების მიერ სულიერად დამონებული და ნივთიერად გაღატაკებული ჩვენი მშრომელი ხალხი ამიერიდან თავისუფალია, თავის თავის პატრონი, თავისი ბედის თითონ გამომჭედი.

ამიერიდან არის მხოლოდ დამოუკიდებელი თავისუფალი საქართველო, საქრთველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკა, რომელსაც ჰმართავს გაერთიანებული ქართველი ხალხი — დემოკრატია.

განიხარე სულო ქართლოსისაო, მარჯვენავ სოფლის მშრომელისაო, გულო ყოველ ქართველისაო, საქართველოს ყოველ ერთგულ შვილისაო, ამიერიდან შენი მზეც ბრწყინავს.

გაუმარჯოს საყვარელ სამშობლოს მზის ბრწყინვალებას, რომლის შუქიც დიდთა და მცირედ თანასწორ მოეფინების.

გმადლობ ზენაარო, გმადლობ საქართველოს დემოკრატიის ნაწრთობ ნაგვემო სულო და მარჯვენავ, რომ მთელ ჩემ ტანჯულ—დევნილ სიცოცხლეში ერთი ბედნიერი წუთი მაინც განმაცდევინე—სამშობლოს განთავისუფლება და ქართველი დემოკრატიის საკუთარ ფეხზე დადგომა მაჩვენე... გმადლობ, მამულო ჩემო, „რამეთუ თვ ლთა ჩემთა იხილეს მაცხოვარება შენი.

აწ განმიტევე მე მონა შენი!“

იოსებ იმედაშვილი

რას ნიშნავს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა?

ორი ათას სამასი წლის წინად ჩაისახა საქართველოს სამეფო წყობილება. მას შემდეგ ქართველობა დამოუკიდებელ, თავისუფალ ცხოვრებით ნეტარებდა მართალია, იყო ხოლმე ისეთი დროები, როდესაც უცხო ურდოები იკლებდენ ჩვენს ქვეყანას, არა ერთხელ სხვის ბატონობის უღელიც გვიტარებია, სამაგიეროდ გვინახავს ბრწყინვალე დღეებიც—თამარის ოქროს ხანა, 12 საუკუნეში, ვერცხლის ხანა აღორძიენების მეჩვიდმეტე საუკუნეში და სხ. ბევრი შავი დღე ნახა საქართველომ, მაგრამ მეცხრამეტე სარკუნემდე მაინც დამოუკიდებლად მოაღწია და შეეკავშირა რუსეთის თვითმპყრობელ სახემწიფოს. რუსეთის ხელში საქართველო თითქმის განადგურდა, მიუხედავად იმისა, რომ ევროპიულ განათლებას დავეწაფენით: მთელი ჩვენი ქვეყანა სულიერად და ნივთიერად რუსეთის მოხარკე იყო. რუსეთის ძალა-გავლენა იქამდე ძლიერი იყო, რომ არა თუ ჩვენი გადაგვარებული ნაწილი საზოგადოებისა, არამედ მდაბიო ხალხიც-კი რუსის ჩრდილით იოხებდა გულს: ჩვენი დემოკრატიის საუკეთესო შვილნი საერთოდ რუსეთის ბედნიერებაზე უფრო მეტს ფიქრობდენ, ვიდრე კერძოთ საქართველოს სახემწიფოებრიობაზე. ქართველი ხალხის რჩეული შვილნი რუსეთის განძლიერებას ეწირებოდენ მსხვერპლად, მაგრამ ამითი მაინც ქართველი ხალხის ცხოვრებაზე რუსთა ბობოლა მოხელენი არას ფიქრობდენ: ჩვენს მიწა-წყალზე რუსის გლეხებს ასახლებდენ, მაშინ როდესაც თვით ჩვენს ხალხს უჭირდა მიწა-წყალი, ეკლესიები გადაგვარებულ—რუსის აგენტ-მღვდლებით აავსეს, სკოლაში ჩვენი ენა შეიზღუდა, სასამართლოში რუსული ენით სწარმოებდა სამართალი და ჩვენს მუშა-გლეხობას, რუსულის არა მცოდნე ქართველ ხალხს, უვიცი თარჯიმანი-მოსამართლენი აწამებდენ სულიერად... ერთი სიტყვით, **ქართველი** და **საქართველო** უარყოფილი იყო, რუსეთის მონად შექმნილი.

მოხდა რუსეთის დიდი რევოლიუცია. რუსეთის მორჩილი ყველა ერი თავისთვის გავიდა ცალკე საკუთარი ოჯახის მოსაწყობად. საქართველო მაინც თვისი დემოკრატიის სახით რუსეთის საერთო ფერხულში იყო ჩაბმული. ბოლოს, როდესაც რუსეთი საერთო არეულობამ მოიცვა, შეთქმნა ამიერ-კავკასიის დამოუკიდებელი რესპუბლიკა სახელით, საქმით-კი მთელი ქარცეცხლი ომისა და რევოლიუციისა, ქართველ ხალხს ატყდებოდა თავს. თავგადასარჩენად ერთი გზაღა იყო, რომელზედაც დიდიხანია მივუთითებდით: ეს **საქართველოს დემოკრიტიული რესპუბლიკის** შექმნა. და, ვაშა, რომ ეს საქმე ითავეს ჩვენი დემოკრატიის ბელადებმა.

საქართველომ თვისი საკუთარი ცხოვრებით უნდა იცხოვროს, რომ უფრო ჩქარა განამტკიცოს დემოკრატიული აზრები ყველა მეზობელთ შორის უფრო, ადვილად შევიდეს საერთაშორისო ძმურ ოჯახში, თვისი ზნე-ჩვეულების შესაფერი კანონმდებლობა და სულიერ განვითარების პირობები თვითონ შექმნას, რომ უფრო ბუნებრივად მოემზადოს კაცობრიობის ტკბილ სამეუფოში—სოციალიზმის სამთავროში შესასვლელად.

ვინ გამოაცხადა საქართველოს დამოუკიდებლობა?

საქართველოს დემოკრატიამ და ამიტომაც ჩვენს სახემწიფო წყობილებას საფუძვლად დაედვა **დემოკრატიული** დედა-აზრი.

რას ნიშნავს დემოკრატიული?

ეს არის ხალხური, ხალხისაგან შექმნილი, ხალხის ძალებით ჩასახულ-აღორძინებული. დღეს საქართველო მხოლოდ ერთი წოდების ხალხისაგან შესდგება: თავადაზნაურობა, გლეხობა, ვაჭარ-მრეწველნი. სასულიერო წოდება და სხ. მხოლოდ ერთი წოდებაა: თავისუფალ საქართველოს თანასწორ-უფლებიანი მოქალაქე, ეროვნების, სარწმუნოების და სქესის განურჩევლად. ნთავრობა თვით ხალხის შვილებისგან შესდგება პარტიულობის განურჩევლად, და ესეც უდიდესი წინდია ჩვენი წინსვლისა, ხოლო ჩვენი ქვეყანა რომ უფრო ჩქარის სამართლიანის ნაბიჯით დაწინაურდეს, ამიტომ ქვეყნის მართვას საფუძვლად ედება **რესპუბლიკანური** წესი.

რა არის **რესპუბლიკანური** ანუ **რესპუბლიკა**?

ეს არის ისეთი წესი მართვა გამგეობისა, როდესაც მთელი ხალხი განაგებს სამეფოს თვისი რჩეულ წარმომადგენლების სახით. კანონებს თვით ხალხი გამოსცემს და თვის ცხოვრებას ისე მოაწესრიგებს, როგორც მას მოუხდება.

სხვანაირად რომ ვსთქვათ, **იაქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა** ნიშნავს—**საქართველოს ხალხურ სახელმწიფოს.**

რას ნიშნავს თავისუფალ-დამოუკიდებელი?

ეს იმას ნაშნავს, რომ ჩვენი საკუთარი ყოფა-ცხოვრების მომწესრიგებელნი საკუთარს ოჯახში—ჩვენს სამშობლო საქართველოში თვითონ ჩვენ ვიქნებით.—არავინ ბატონი. არავინ მჩაგვრელი არ გვეყოლება, ჩვენ არავის არას წავედავებით და თუ ვინმე ჩვენს მიწა წყალს და სახემწიფოს წამოეტანა—ყველანი, აღვსდგებით, როგორც ერთი კაცი, თავისუფლების, სამშობლოისა და საკუთარ უფლების დასაცავად.

მაგრამ როდის გაიმარჯვებს ჩვენი სამშობლოს თავისუფლება?—

როდესაც ყველა თავის მოვალეობაა სამშობლოს წინაშე პირნათლად შეასრულებს. არასოდეს ისეთი დიდი მოვალეობა არ გვდგმია თავს, როგორც დღეს. დღემდის თუ მხოლოდ სხვები „ზრუნავდენ" ჩვენზე, დღეს თვითონ ჩვენ უნდა ვიზრუნოთ ჩვენი ცხოვრების დასაწინაურებლად ყოველმა თვის დარგში: მიწის მშრომელმა გაამარაქიანოს თვისი ნამუშევარი, ვაჭარ-მრეწველმა გზა გაუხსნას ვაჭრობა-ერეწველობას, სხვა და სხვა სამრეწველოს—შაქრის, ქსოვილების, ტყავეულობის ქაღალდის, რკინეულობის და სხ, დამუშავებას, ჯარის კაცმა—სამშობლოს საზღვრების დაცვას, მილიციამ წესიერების დამყარება, მოხელემ—მოვალეობის მტკიცეთ შესრულებას, დედამ ღირსეულ შვილთა აღზდას, ახალმა თაობამ მეცნიერების დაწაფებას.

მაშ გაუმარჯოს თვისუფალ დამოუკიდებელ საქართველოს ხალხურ სახემწიფოს, ანუ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას.

ვისთვის არის ყველაზე უფრო საჭირო და სასარგებლო ასეთი სახემწიფო?

შენთვის, შენთვის ჩემო მრავალ ტანჯულო სოფლის მიწისმშრომელო, ქალაქის მუშავ, საშუალო მოხელეე, საქართველოს ყველა ერთგულო შვილო. მაშ ზურგი გაუმაგრე ამ შენს სახემწიფოს შენდა საკეთილდღეოდ,

იოსებ არიმათიელი

ნოე ჟორდანია—სოციალდემოკრატიულ პარტიის ბელადი, რომელმაც 1918 წ. მაისის 26 სასახლეში ეროვნული ყრილობა გახსნა და საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი წაიკითხა.

საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი

„მრავალ საუკუნეთა განმავლობაში საქართველო არსებობდა, როგორც დამოუკიდებელი და თავისუფალი სახელმწიფო.

„მეთვრამეტე საუკუნის დასასრულს ყოველ მხრით მტრისაგან შევიწროვებული საქართველო თვის ნებით შეუერთდა რუსეთს იმ პირობით, რომ რუსეთი ვალდებული იყო საქართველო გარეშე მტრისაგან დაეცვა.

„რუსეთის დიდის რევოლიუციის მსვლელობამ რუსეთში ისეთი შინაგანი წყობილება შექმნა, რომ მთელი სამხედრო ფრონტი სრულიად დაიშალა და რუსის ჯარმაც დატოვა ამიერკავკასია.

„დარჩნენ რა თავისი ძალღონის ამარად, საქართველომ და მასთან ერთად ამიერკავკასიამ თვით იდვეს თავს საკუთარი საქმეების გაძღოლა და პატრონობა და შესაფერი ორგანოებიც შექმნეს; მაგრამ გარეშე ძალთა ზედგავლენით ამიერკავკასიის ერთა შემაერთებელი კავშირი დაირღვა და მით ამიერკავკასიის პოლიტიკური მთლიანობაც დაიშალა

„ქართველი ერის დღევანდელი დღევანდელი მდგომარეობა აუცილებლად მოითხოვს, რომ საქართველომ საკუთარი სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია შექმნას, მისი საშუალებით გარეშე ძალის მიერ დაპყრობისაგან თავი გადაირჩინოს და დამოუკიდებელ განვითარების მტკიცე საფუძველი ააგოს.

„ამისდა თანახმად საქართველოს ეროვნული ყრილობის მიერ არჩეული საბჭო დღეს საყოველთაოდ აცხადებს:

1) ამიერიდან საქართველოს ხალხი უფლებათა მატარებელია და საქართველო სრულუფლებიანი დამოუკიდებელი სახელმწიფოა.

2) დამოუკიდებელ საქართველოს პოლიტიკური ფორმა — დემოკრატიული რესპუბლიკაა.

3) საერთაშორისო ომიანობაში საქართველო მუდმივი ნეიტრალური სახელმწიფოა.

4. საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას სურს საერთაშორისო ურთიერთობის ყველა წევრთან კეთილმეზობლური განწყობილება დაამყაროს, განსაკუთრებით კი მოსაზღვრე სახელმწიფოებთან და ერებთან.

5) საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა თავის საზღვრებში თანასწორად უზრუნველჰყოფს ყველა მოქალაქის სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებს განურჩევლად ეროვნებისა, სარწმუნოებისა, სოციალურ მდგომარეობისა და სქესისა.

6) საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა განვითარების თავისუფალ ასპარეზს გაუხსნის მის ტერიტორიაზე მოსახლე ყველა ერს.

7) დამფუძნებელ კრების მოწვევამდე მთელის საქართველოს მართვა-გამგეობის საქმეს უძღვება ეროვნული საბჭო, შევსებული იქნება ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლებით, და დროებითი მთავრობა პასუხისმგებელია საბჭოს წინაშე“.

სიმღერა

ზამთარმა შაუბრალებმა ყინულის ლიბო ჩაყარა,
ურცხვი ზამთარი დათრგუნა, მაისმა ვარდით გვახარა.
ბარი მთას უძღვნის სალამსა, კავკასმა თავი დახარა,
მთის სამურმა ნიავმაქედელი გადიხარხარა.

აღარ ისვენებს ბულბული გალობს სახლს ჭერს აჰყარა;
ამტვერებული მთა-ბარი უეუნა წვიმამ გაბანა,
ყინვისგან დაკრუნჩხვილებსა ზამთარმა ჭერი აჰყარა,
გაქვექცა, ხაროზს ზაფხული; გუდა-ნაბადი დაჰყარა,—
ყინულის მეფე ზამთარი გახდა ზაფხულის მასხარა!..

ვასო აფციაური

სამშობლოს ზვარაკნი

კაპიტ. სიმონ იობისძე შავგულიძე.

პრაპ. დავით ვანიძე

პორ. აბეს. ერ. ხარაიძე

კაპიტ. სიმონის ხსოვნას

არ დაგაფრქვევ მე შენ ცრემლებს
უსიცოცხლოს, მოწყენილსა,—
თუმცა გული ვეღარ ითმენს
გრძნობას ჩემში ჩარჩენილსა!

ვით იტ როს თვალმა ჩემმა?
ვით იტიროს გმირი ქ.რთ.ლის
ვინც ემბლემად უნდა დარჩეს,
და სიმბოლოდ მომავლის!..

ზაირა

კაპ ონი . ზაქ. დოლიძე

ბათომის გმირები

საქართველო 1918წელს მარტის 31 ბათუმზე გამოსალაშქრებლად ნაშუადღევის ხუთი საათიდან ელოდა მტერს. ქართველობამ იცოდა ეს ამბავი და მის დასაცავად ადრევე გაჰგზავნა იქიტკენ თავისი რჩეული შვილები. ბათუმის ციხე-სიმაგრეებს კარგად იცავდა ქართველი ლაშქარი, მაგრამ ანარიის ციხის სიმაგრეს სულ სხვა დარაჯი ჰყავდა. შავგულიძე, დოლიძე, ხარაიძე და ვანიძე. ვეფხვებივით უდგნენ ჯარს სათავეში იარაღით ხელში; გადასცქეროდნენ სიმაგრიდან მტერს და მტერთან მტრულად შესახვედრად გამზადებულნი, ვით არწივნი, თვალს ადევნებდნენ საყვარელ ბათუმის მაჯის ცემას. თვით შავგულიძემ, როცა სამხედრო ვეზირმა გვეაჰკორმა იგი ციხის უფროსად დანიშნა და გასაღები ჩააბარა — შენ იცი და ამ გასაღებმაო შავგულიძემ უპასუხა. ამ ციხის კარებში თავ ცოცხალი არავის შემოვუშვებო. და შემდეგ, როცა ოთხმა ამხანაგმა ციხეში ერთად თავი შეიყარა, ერთიმეორეს შეფიცეს: სანამ მტერი საქართველოს ბათუმით მკერდში ლახვარს ჩასცემდეს, უმალ ჩვენი სიცოცხლე გაჰქრებაო.

დასალამოვამადა. ბათუმის კეკლუც ბუნებას სევდის ბურუსი მოეფინა. ჩამავალი მზის კაშკაშა სხივები გაჰქრა მწუხრის ბინ -ბუნდში და მიითვლიმა. სიბნელემ მოიცვა გარემო. კამკამა ზღვის ზედა-პირი ავადმყოფსავით შეირხა ლამეში და დაჭრილ ლომივით დაიწყო ქვნეშა-ღრიალი.

დრო არ ითმენდა დრო გადიოდა. მტერი საიერიშოდ ემზადებოდა. ნაშუაღამევის ორ საათზე პირველად მტერმა გაისროლა თოფი. ამას მოჰყვა ყველა სიმაგრებიდან თობების გრიალი და მთელი ბათუმის სივრცე ტყვია წამლის ცეცხლით გ:ნათდა. ქალაქი საშინლად აზანზარდა. ყველგან ბევრს ისროდა მტერი, მაგრამ მეტი ტყვია ანარიის ციხეს ეცემოდა, როგორც ქალაქის პირველ მაღალ სიმაგრეს. ჩვენი გმ.რები მოპაცურად იდგენ თავიანთ ალაგს და ცეცხლში გახვეულნი მხედრებთან ერთად ტყვიის მფრქვეველით უშიშრად აყრიდენ მტერს ტყვიას აჰა, ერთი გამოაკლდა ოთხს. პრაპორჩიკი ვანიძე პირველად დაეცა მკვდარი. მისი უკანასკნელი სიტყვა იყო,, სამშშობლოსთვისო!'' მეორე ალაგას პრაპო. ხარაიძეს სულ გაუწყდა ჯარი. ცოცხლების ალაგს მკვდრების ხრო დადგა, მაგრამ იგი მაინც იბრძვის. აჰა, ბედმა უმუხთლა გმირს. დაიჭრა გვერდში. ჭრილობას კი ར იხვევს: არ არის დრო ჭრილობის შეკვრის. — თვითეული წუთი ძვირფასია სამშობლოსათვის. ან რად მორჩეს? იმას სიცოცხლე. არ უნდა, ოღონდ სამშობლო დარჩეს. იმან იბრძოლა, ვიდრე არ დაიცალა სისხლისაგან და სანამ ოსმალოს ხელით ნასროლმა ყუმბარამ მოწამებრივად არ დაჰგლიჯა იგი. აჰა, მკვდრებს მესამე გმირიც მიჰყვა. კაპიტანი დოლიძე დაეცა. ტყვიამ გულში

გაუარა. დაიცალა ანარიის ციხე მებრძოლთაგან. ყველა მხედრები და უფროსებში დარჩა მარტო, კაპიტანი შავგულიძე. შეფიცულნი ამხანაგები აღარა ჰყავს გმირს. აღარც ჯარი ჰყავს. მაშინ ის გაასკეცებლი სიმამაცით, მკვეთრისა და რიხიანის ხმით გამორბის ანარიის კარებთან, ვით საზღაპრო გმირი, გოლიათი და მას სდარაჯობს, იცავს. თანაც სიკვდილის ქარცეცხლში მიცემული. შტაბიდან მაშველჯარს ელოდება. ელოდება, არა თავისათვის, ანარიისათვის. მაგრამ პირდაპირი მათული ციხიდან შტაბამდის დაზიანებულია. არ მუშაობს შტაბმა არ იცის სადარის გაჭირვები. საითკენ უნდა მაშველი ჯარი. შავგულიძე იბრძვის, გააფრებული ომობს მაგრამ ბოლოს ვერ აუდის მოზღვავებულ მტერსა პირველად ამ ჯოჯეხეთურ განკითხვაში ის ფეხში იჭრება. იგი გრძნობს ჭრილობას, მაგრამ მაინც განაგრძობს ბრძოლას. დიდ-ხანს იომა მან თითქმის გათენებამდის გაუმკლავდა მტერს. ბობოს შეატყო მტერმა ტყვიების ხმაზე ანარიის სისუსტე და იერიშით შემოვიდა. დაგვრჩიო, შესძახეს კაპიტანსა. გიაურევო, მკვდარი დაგრჩებით, მხოლოდ მკვდარი, არა ცოცხალიო, შესძახებს ოსმალოებს-ერთს კიდევ გადააბრუნებს ტყვიის მფრქვეველს, ერთხელ—კიდევ დაჰკაფავს ციხის კარებიდან შემოვარდნილ მტერს და მერე ვიღაც უკანიდან ცხელი ტყვიით შუბლს უპობს... ამით ბათუმის ბედიც სწყდება. .

ასე მამაცურად დაიხოცა საქართველოსთვის თავდადებული ოთხი გმირი: დოლიძე, ხარაიძე, ვანიძე და შავგულიძე. დიახ, ისინიც დაეცნენ და მტერმაც ჩაიბარა ბათუმი.

რამდენიმე დღის შემდეგ ოსმალოს მთავრობის ნებართვით გათხრილ იქმნა საძმო საფლავი. მამაპაპათა სამარემ მოწიწებით მიიბარა უკვდავნი გმირნი-მშობელმა მიწამ მიიღო ისინი თავის სავანეში და სამუდამოდ ჩაიხუტა...

ევგენი ფურცხვანიძე.

რომორც ლანდი... რომორც სიზმარი!...

სხივებ ჩამქრალი, დასეტყვილი ჟამთა ზმანებით,
ცხოვრების ველზე განწირულად დავიარები.
მწუხარებს გული სიყვარულის დაგვიანებით
და სულს კუფლის ტკივილები და იარები..

მზე აღარ მზეობს, ჟამთ სადავე ხელთ გამივარდა...
განელდა ცეცხლი,. ღამის მკედრზე ჟინით ნანთები.
დაღეწილ სარკმელს მაცდურობის ფარდა მიფარდა,
და ეწუხარებას, საყვედურის, თალხით ვირთვები...

დნება სანთელი, ბნელ სივრცეში გაჩაღებული,
და სტირის გული: ვერ შევძელი ვერ დავაჩუმე,
სიცხადის ფრთებით იტეტკება სხივთა-კრებული,
და დავალ ობლად როგორც ლანდი. როგორც სიზმე!..

ნ. ზენობნიელი.

ცხოვრების გზაზე

(ძლვნათ გულითად მეგობარს გრ. საქარიქედელს)

ო, როგორ დაცალიერდა ეს ქვეყანა!. დღე-ღამ დავდივარ და ვერავის შევხვდი... მეგობრები დამემალნენ, მათაც კი მიმატოვე!... უუუ... ბრაზმორეულათ გაჰკივის ქარი და სადღაც მიეჩქარება... ალბათ ისიც დაეძებს ვისმეს... ერთ წუთას დადეგ ქარო, შემისვი შენს ფრთებზე და თან მატარე.. მეც შენთან ვიქროლებ, მეც შენთან.. იქნებ მაშინ მაინც ვნახო ვინმე!.. მაშინ მაინც!..

—

— დამანებე თავი! რა არის რომ ერთსა და იმავეს ჩამჩიჩინებ მუდამ?!. ნუ თუ არ იცი რომ მე ჩემი საკუთარი აზრიცა მაქვს!-უყვიროდა ერთი მეორეს... ეჰ, წავიდე აქედან.. აქ რაღაც ძალადობაა! არ მიყვარს, როცა ადამიანის ნების ყოფას ეურჩებიან, ფრთებს არ აშლევინებენ მას... არ მიყვარს, არა!..

— მშვენიერო, მიყვარხარ! მუდამ შენზე ვოცნებობ.. შენა ხარ ჩემი ხატება... სამლოცველო! ჩემი სიყვარული წმინდაა ისე, როგორც თეთრი ტალღა! ეფიცებოდა ვაჟი ქალს და ზღვისაკენ იშვერდა ხელს.. ქალი კი გრძნობათა ქსელში გაბმულიყო ..უსიტყვოთ მიყრდნობოდა თავის საყვარელს..

ცელქი ტალღები კი მხიარულათ თამაშობდნენ ზღვის პირზე... მათ თითქოს ესმოდათ შეყვარებულთა ფიცი და სიცილს აყრიდნენ... ხარხარებდნენ. . ისინი კი უკვე დამთვრალიყვნენ ალერსით...

—მშვიდობით, მშვენიერო! ხვალ ამ დროს ისევ აქ დამიცადე!—შემომესმა.

—კარგი, კარგი!.მიუგო მეორემ და ერთმანეთს განშორდნენ...

ო, რა ცბიერებით და მ ცდურობითაა სავსე ეს ქვეყანა!.. წამიყვანეთ აქედან, წამიყვანეთ

—

მე ისე უნდა მოვეწყო და მოვირთო, რომ ქვეყანა შემომნატროდეს..· ყველას თვალი ჩემკენ რჩებოდეს!

—არა, არა! როგორ შეიძლება ყოველ დღე ახლების ყიდვა! შენ ისედაც კარგა მოწყობილი ხარ! აბა ვინ დადის შენზე მდიდრულათ?.

—რაებსა ჩმახავ... ჩემი სურვილი ასეა! მორჩა და გათავდა! არ იყოდი და მერე მე ვიცი! ბრაზმორეულათ უყვიროდა ცოლი ქმარს.

—დამაცადე, სული ნუ ამომხადე! ხვალ კიდევ დავაგირავებ უკანასკნელ სახლს და კმაყოფილებ შენს სურვილს, ოღონდ გული დაამშვიდე...

—ო, ასე ჩემო კარგო! შენთვისაც სახელია, რომ შენს ცოლზე ყველას თვალი დარჩება

ეს რა მესმის? ხა, ხა, ხა, ხაა,... რა სათამაშო ბურთი ხარ, ადამიანო?..

—

ეხლა კი მშვიდობით! არ მინდიხარ, არა! გესმის?-ეუბნებოდა ვაჟი ქალს...

—მაშ რათ მეფიცებოდი.! რათ მეუბნებოდი, რომ შენი სიყვარული წმინდა იქნებოდა ზღვის ტალღასვით!.. რომ შენ არასოდეს არ მიღალატებ!..

—შენ კიდევ შენსას გაიძახი... არ გესმის შენ არ მინდიხარ, არა, მეუკვე ავხსენი შენ'ში ამოცანა, რომლის ახსნასაც დიდი ხანია ვცდილობდი!.. დღეიდან შენ მეტი ხარ ჩემ'ვის... წადი, გამშორდი!..

—ვაი შეგინებულო ნამუსო... მოტყუებულო ჩემო თავო... რას წარმოადგენ ეხლა რას?—ქვითინებდა უბედური ქალი.

ხა, ხა, ხა!.. რა საბრალონი, რა გულუბრყვილონი არიან ადამიანები!..

ეჰ, ნეტავი შენა რომ ხანდიხან მანდ აფრინდები ხოლმე და მზის სხივებს ეარ'შიყები; მე კი ჭიანჭველასავით დავდოლავ მიწაზე! შევძახე ცაში მონავარდე ქარს...

ო, როგორ ნაღვლიანათ დუდუნებს ეს ზღვა!... ალბათ ესეც უკმაყოფილოა... ესეც ჯჩივის ვისმეს!..

ჩემი გული უძირო ზღვაა! მასში მრავალი განძია დამარხული... ის მეტად ურჩი და დაუნდობელია!.. მხოლოთ შენ ერთმა დაიმორჩილე ეს და შენს ასურვილზე ათამაშე! ეფიცებოდა თავის სატრფოს მგოსანი.

—მე სამარადისო ლექსებს გიძღვნი და სამარადისო იქნება სიყვარული ჩვენი! აღელვებით ჩასძახოდა ის და კოცნის ცეცხლით ენთებოდა.

—მეც მუდამ მეყვარები... მუდამ!.. ძლივს ლუღლუღებდა ქალი და მეტის გრძნობით მთვრალი ცახცახებდა. ხა, ხა, ხა, საბრალო ქალო რათ არ იცი რომ სიყვარული წარმავალია... რათ არ იცი, რომ ყოველივე ჰქრება, და მხოლოდ მოგონება რჩება მისი!..

—უ უ!.. აცივდა კიდეც! გაურკვეველი სიბნელე მოეფინა ქვეყანას... მითხარი დასავლეთო, სად არის ჩემი მზე, წელან რომ ოქროს ფერ ტანსაცმელით გამშვენებდა?!. რა უყავი, სად დამარხე, სად?...

ეჰ, არსით პასუხი!..

ო, როგორ ცივა, როგორ ბნელა ირკვლივ!.. წავიდე... ისევ დავიძინო... იქნებ ძილში მაინც დავისვენო!..

ლ. ძიძიგური

ნიკ. სულხანიშვილი კ. ფოცხვერაშვილი

მათი ეროვნულ კონცერტების გამო

რა უწოდო?!?

რა უწოდო მე იმ მებრძოლს,
 რომელს ჰბურავს ეხლავ შიშა?—
 არაფერი; მხოლოდ ვიტყვი:
 ,,ამოვარდა მისი ჯიში''!

ვაშა იმას, რომელსაცა
 აღუმართავს მაღლა ხმალი
 და ბრძოლისკენ უმერია—
 წასასვლელად მუდამ თვალი!

შიშით ქოხში არა კვდება,
 ტოლებისა სამარცხვინოთ
 და მებრძოლ ძმებს მოუწოდებს:
 ,,მო სამშობლო აღვადგინოთ!..

აბა ძმებო, არ შეშინდეთ,
 გადირბინეთ მინდორ-ველი;
 შეუტიეთ მოსისხლე მტერს
 და დაეცით ტყვია ცხელი!

გაუგმირეთ გესლით სავსე
 არამზადას შავი გული
 და იხსენით ტურფა მხარე,
 არ ღასტოვოთ კვლავ ტანჯული!!.

ა. გეწაძე.

კარლო ჩხეიძე — საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის (ეროვნულ საბჭოს) თავმჯდომარედ არჩეული.

საქართველოს მაისი

გაზაფხულმა ფრთა გაშალა, აბიბინდა მწვანე მდელო,
საქართველოც მკვდრეთით აღსდგა, გავიტანეთ დიდი ლელო!..

ის აღსრულდა, რასაც მარად შენატროდა ჩვენი გული,
რასაც ტკბილის ოცნებითა შეხაროდა ვნებით კრული..
დღეს ზეიმობს ნაწამები ქართლოსის ძე, ხარობს, სტკბება,
მრწამს მე მისი სიდიადე, მის სამშობლოც არ მოკვდება!..

დ. გაბრუაშვილი.

საქართველოს

იზეიმე, გულით გახარებულმა,
იყვავილე, ამ ხნის ტანჯულ-გვემულმა.
აიყვავე გულში ნაზი იები,
მოაფინე შვება, მზისა სხივები.
გაახარე შენი არე-მიდამო.
რო მტერმაც სთქვას: მინდა გულით გიწამო.
მოკილოცავ სულით, გულით აღდგომას!
ეხლა ვარჩევ ცაში ფრენას, აქ დგომას...

გოგი კვაცხუთელი (ეროვნ. საბჭო)

ვინ მიხედავს?!...

გიორგი ზ. მაჩაბელი
ცნობილი პოლტიკური მოღვაწე, 1905 წ. წითელი რაზმის მეთაური, გორის მაზრის კომისარი, ცხინვალის ამბოხების დროს დაღუპული.

სტირის... გოდებს ქართლის დედა, შორს მაკვნესის მწუხრის ხრა,
ულირს მტრისგან ითელება საქართველოს მთა და ბარი...

კახი არ სჩანს... ის მთა დრისკენ კარბის თავის დასაფარად,
ანანია შინ მოუხმობს თავის შკოლებს დასამალად...

საკაძე მტერს ნებდება... თავის ხელით იერის ბაჯარს,
ქეთევანი მწარეო მოთგქამს თავის ქვეყნის საქმეს წამხდარს...

სტირის, გოდებს ქართლის დედა, ტრემდოთა ზღვაში ახრჩობს თავდებს,
ვინ მიხედავს იმ წამებულს, ეურს ვინ ათხოვს განაწვალებს?..

კოსტა ყაზიშვილი
ცნობილი ს.-დ. პარტიული მუშაკი ცხინვალის ამბოხების დროს დაღუპული

რევაზ ფავლენიშვილი

რევაზ ლ. ფავლენიშვილი (1864 — 1918) თვალსაჩინო ბელეტრისტი, მოთხრობა-ამბავთა მწერალი, ქართულ ჟურნალ-გაზეთების თანამშრომელი. ცნობილია მისი მოთხრობები: „მოტყუებულ,“ „გიორგი ქილეხხაშვილი“ „ამინდმაც ჩვენზე მოიცალა?“ „არ ვიზამ, არა!“ „თავადი ცეცხლამვილი“ და სხ. ზოგი მისი მოთხრობა გარჩეულია, თითო-ოროლა რუსულათ თარგმნილი მისი მოთხრობები დაბეჭდილია; „ივერია,-ში, „მოამბე“ — ში და სწერდა სხვა და სხვა ფსევდონიმებით. რ. ერედველი, რაე და ფარი, კვიმატი, ვინც გგონივართ ის არა ვარ და სხ. სახელებით. ძველად მონაწილეობდა სცენაზედაც. თვით ნასწავლ-განვითარებული იყო ღარიბად სცოვრობდა, გარდაც. წელს. ქართულ მწერლობის წინაშე ამაგი მიუძღვის. უფრო ვრცელ წერილს შემდეგში ვუძღვნით.

ვიქტორ მერაბისძე გ მყრელიძე
30 წლის მოღვაწეობის შესრულების გამო. მისი სადღესასწაულო წარმოდგენა გაიმართება ივნისში

ლექრემს

კვლა სიკვდლი, კვლ:ვ ცრემლები,
კვლავ ვაება ხმა საზარი,
არ შორდება ჩვენს სამშობლ ოს
ოხვრა, კვნესა, გლოვის ზარი!
ეს ცხოვრება ცეცხლი არის,
სიკვდილი-კი მისი კერა.
ვინც მოვიდეს მას ვერ ასცდეს,
და შეიქმნეს მათი წერა.
მაშ რას გლოვობ, რას წუწუნებ
გადვიხადოთ ბარემ ვალი—
პირი მაშინ შემსუბუქდეს,
თუ გმირულათ გასპკრეტს თვალი.
იალბუზის მთის მწვერვალზე
გესმით ბრძოლის ბუკ-ნალარა?
წინაპართა ხმა-ყივილი,
ბანს რომ აძლევს მთა ქალარა?
მოგიწოდეგთ, იქ მიხვიდეთ,
მტერს რომ ებრძვის ამირანი,
იქ მიხედოთ, სადაც გმირებს
თავს დასჩხავის ყვავ ყთრანი!
და სამშობლოს განსაცდელი
ააცდინოთ ყველამ ერთად:
იქნებ მაშინ გონს მოხვიდეთ
და იწამოთ ღმერთი*) ღმერთად!..

მუშა **მიხა ს. დევაძე**

*) ნაგულისხმევია სამშობლო, როგორც უკვდავი სინამდვილე.

ქართველ მსახიობთა კავშირმა გადასწყვიტა მიმდინარე წლის ივნისში (ახალის სტილით) იდღესასწაულოს ოცდაათი წლის თავ სასცენო მოღვაწეობისა თვალსაჩინო ამხანაგის და წევრის **ვიქტორ მერაბის ძე გამყრელიძისა.** მართალია დრო ეხლა მეტად რთული და მწვავე გვიდგას. კერძო პიროვნებათათვის ისე აღარა გვცალია, მაგრამ მოჭირნახულის ამაგის დავიწყება არასდროს არ გვმართებს, მით უფრო ისეთი ჩუმი და მორიდებული მოღვაწის, როგორც საყვარელი ვიქტორია საკმაოა გავიხსენოთ მის მიერ სცენაზე საუცხოვოდ განსახიერებული თუნდა მხოლოდ ორი ქართველი ტიპი — სვიმონ ლიონიძე და ანანია, რომ ჩვენი გული მისდამი მადლობით აღივსოს იმ ჭეშმარიტ. აღმათრთოვანებელ წუთებისათ ვის, რომლებიც მას განუცდევინებია ქართველ საზოგადოებისათვის და ჩვენ იმედი გვაქვს ეს საზოგადოება შეძლების დაგვარ გამოეხმაურება ჩვენს გამოძახილს.

ამისათვის გთხოვთ 25 მაისამდე ახალის სტილით შეგვატყობინოთ თუ როგორ და რა სახით მიიღებთ მონაწილეობას საყვარელ და დამსახურებულ მსახიობის მადლობის გადახდაში.

თვით დღესასწაულის დღე, დრო და ალაგი თავის დროზე გამოცხადებული იქნება გაზეთში.

ყოველი შემოწირულება და წერილები მიიღება შემდეგის მისამართით: **თბილისი,** ქართული ქარვასლა, სასახლის ქუჩაზე, ქართველი მსახიოთა საპროფესიო კავშირის კანტორაში **შალვა დადიანს.**

ქართველ მსახიოშთა კავშირის საბჭო.

იოსებ გედევანიშვილი —ასპინძის ასპარეზზე მომქმედ საქართველოს ჯარის სარდალი. ოსმალებთან უკანასკნელ მეტაკებაში დიდი სიმამაცე გამოიჩინა. ბრძოლაში ცხენი მოუკლეს. ებოძა პოლ კოვნიკობა.

ალ. წუწუნავა —საქართველოს სახემწიფო თეატრის გამგე-მმართველად (კომისრად) მიწვეული.

ბედნიერი ქალი

დასრულდა

მსარ. მდიდარი ქალია! თქვენ კი კარგი თამასუქი მიჩვენეთ.

ირინე. ჰა, ჰა, ჰა, თამასუქი! თამასუქი ტყუილი იყო. ის მე მომცა ფეთიანიძემ, რომ თმვის თავი თქვენ წინ ლარიბათ ეჩვენა და ამით თავიდამ მოეშორებინეთ. ან როგორ დაიჯერეთ, მიკვირს. ჩემ მამას ათას გროშის ნახვა ენატრებოდა და ათას თუმნებს მდიდარ ფეთიანიძეებს როგორ დაურიგებდა. ჰა, ჰა, ჰა, სრულებით ყმაწვილი ბრძანებულხართ! სრულებით ყმაწვილი ბრძანებულხართ.

მსარ. (იქით) მართლა, კინაღამ არ გავგიჟდი და ეს ლატაკი გომბიო არ შევირთე? ბედი რომ არ მქონოდა, ჩემი სიტუტუცე, დიდი ხანია დამღუპავდა.

ირინე. დიახ, კარგი იქნებოდა, რომ სოფიოს შერიგებიყავით, მაგრამ ერთი ეს არის ცუდი, რომ ფეთიანიძე ახირებული კაცია, სულ უარზე დგას, უბინაო, უსაქმო კაცს როგორ მივცე ქალიო, სოფიოც იმას უგდებს ყურს.

მსარ. საკვირველია საკვირველია, ღმერთმანი. ჯერ ეხლა გავათავე სწავლა როდის უნდა მომესწრო ბინის შოვნა? აჰ ნეტავი ვნახო სოფიო და ყველაფერი ავუხსნა.

ირინე. არაფერი არ გამოვა. ფეთიანიძე საშინლად გაჯავრებულია და ცოფებს ჰყრის. იძახის ბამბაშვილმა როგორ გაბედა, როგორ აიღო ხელი ჩემი ქალისაგანაო, მე კაცი არ ვიქნები, თუ ლენერალს ან ნამესტნიკის ადიუტანტს არ შევრთე ჩემი ქალიო! სწორეთ ესე იძახის: სხვა არავინ მინდაო.

მსარ. აჰ, რა უყო! სოფიო რო ვნახო, მოვიტაცებ. აჰ ნეტავი ხელის გამმართავი ვინმე მყვანდეს!

ირინე. დამენაძლიეთ, რომ თუ მოვინდომე, სოფიო ამ დღეებში გატყვრება აქ და სადაც გინდა წამოგყვება.

მსარ. მაგას თუ მოახერხებთ, ჩემ ღმერთად ჩაგთვლით და თქვენთვის მსხვერპლად ჩემ თავსაც არ დავზოგავ.

ირინე. მსხვერპლი საჭირო არ იქნებოდა, დრო რო მქონოდა. აჰ, რომ იცდეთ, ბატონო, რამდენ ხათაბალაში ვარ გაბმული,

მსარ. მიბძანეთ, ირინე პავლოვნავ, ახალ ჯვარ დაწერილებს რა ხათაბალა უნდა გქონდეთ.

ირინე. აი, ბატონო, რა ხათაბალა. ქორწილმა და სახლის მომართვამ დიდი ვალი დაგვადო. ორი კვირით ვიშოვეთ ფული, მაგრამ აგერ ორი კვირა გავიდა და არ ვიცით როგორ გადავიხადოთ ვალი. ჩემ ქმარს სამსახურში გაუქირეს ს-ქმე და ფულს შოვნა საზრუნველათ დამრჩა მე. დღე და ღამ სულ იმის ფიქრში ვარ, თუ როგორ დავიხსნათ თავი სირცხვილისაგან. ღმერთო! რა სკანდალი იქნება, სასამართლომდინ თუ მივიდა საქმე! (იქით) ახლა მგონია ხერხიანათ დავჯდე მახე.

მსარ. რას ბრძანებთ ბატონო, მაგისთანა უბრალო საქმემ როგორ შეგაწუხათ! თქვენ მე სოფიოს მრთავთ, მაბედნიერებთ, სიცოცხლეს მაძლევთ და მე არ უნდა დაგეხმაროთ როცა ფულში საჭიროებთ! ეს რა საფიქრებელია, ეს რას ემგვანება! (იქით) სულერთია მაჭანკალისთვის უნდა მიმეცა ფული! (ირინეს) რამდენი გნებავთ, მიბრძანეთ. ეხლავ მოგართმევთ.

ირინე. სულ ასი თუმანი მმართებს. სადმე რო მასესხებინოთ, არასდროს ეს თქვენი სიკეთე არ დამავიწყდება, აბა მაშინ მექნება დრო თქვენი დაქორწინებისათვის.

მსარ. სესხება რა საოქმელია! სწორედ მეწყინება, თუ ფეშქეშად არ მიირთვით ჩემგან ეგ მცირე ფული. ეხლავ მოგართმევთ. (გარბის)

სცენა 5

(სოფიო შემოდის მეორე კარებიდან)

სოფიო. მივარდება ირინეს და გადაჭიოტნის, დაბარაბობს ალერსებით). მომილოცავს დუშკა, მომილოცავს. ნუ გგონიათ, რომ მე მაშინ ვჯავრობდე შენზე. არა, სრულებითაც არა. შენც ხომ იცოდი, რომ მე სხვა მიყვარდა და ბამბაშვილსმამის ბრძანებით მივყვებოდი.

ირინე. აჰ, სოფიოჯან, რომ მცოდნოდა რომ თქვენში ნამდვილი სიყვარული, განა გაწყენინებდი, განა მივეთხოვებოდი შენ საყვარელს საქრმოს? მე ვიცი რომ გულში სხვა ვინმე გიზის და ყოველ'ღონისძიებას მოვიხმარ

რომ იმ სხვამ ითხოვის.

სოფ. აჰ, ირინეჯან, ვიცი ვიზედაც ამბობ, მაგრამ ვაი, რომ ჩვენ ვეღარავინ შეგვყრის.

ირინე. მე შეგყრითსოფიო მხარგელაძესთან ამ დღეებში.

სოფ. არა, ის ისე გავაჯავრე უკანასკნელ დროს, ისე გადაჭრილად უთხარ უარი, რომ იმედი აღარ უნდა მქონდეს იმის სიყვარულზე.

ირინე რა სათქმელია! ერთხელ აღგზნებული სიყვარული განა ეგრე ჩქარა ჩაჭქრება! მე მილაპარაკნია. კიდეც მხარგელაძესთან შენზედ და იმედიცა მაქვს, შენ გითხოვოს, თუ ორიოდჯერ კიდევ დაველაპარაკე, მაგრამ .

სოფ. მაგრამ?

ირინე. მაგრამ ერთ ისეთ საქმეში ვარ გართული, რო სხვა აღარაფრისათვის მცალიან.

სოფ. აჰ, მითხარ ირინეჯან, რა საქმეა; იქნება როგორმე დაგეხმარო.

ირინე. ვერ დამეხმარები, სოფიო ჯან.. ცუდი საქმეა.

სოფ. უეჭველად უნდა მითხრა, თორემ ჩვენ დები აღარ ვიქნებით ირინე.

ირინე, ჩვენ ბედნიერები არა ვართ, ჩემო სოფიო, ღარიბულად ვცხოვრობთ. ქორწილისათვის და სახლის პირველ გამართვისათვის ვალად ავიღეთ ასი თუმანი ორი კვირით. მაგრამ აგერ ორი კვირა კიდეც გავიდა და ვეღარსაიდან ფული ვერ გვიშოვია, რომ ვალი გადვიხადოთ. ქმარი სულ სამსახურშია და ჩვენი თავის დახსნა ბიაბრობისაგან საზრუნველად დამრჩენია მარტო მე. აჰ, რა სკანდალი იქნება სასამართლომდინ თუ მივიდა საქმე.

სოფ. ღმერთმა მაგაზე მეტი საზრუნველი ნუ მოგცეს! აი დაო, რისთვის მინდა ეს ჩემი ნივთეულობა (უჩვენებს ხელს საათზე, ბრასლეტზე, საყურეზე და სხვა) თუ არ შენთვის? შენ არ მათხოვებ, შენ არ მაბედნიერებ?

ირინე. აჰ, მადლობელი ვარ, სოფიოჯან, ამას დავაგირავებ ერთი ორი კვირით და მერე უკან გამოვიყიდი და უკან დაგიბრუნებ. მაგიერს ჩქარა გადაგიხდი.

სოფიო რას ამბობ ირინეჯან, დაბრუნება რას ქვიან! სახსოვრად მიჩუქებია. ჩემგან ხომ სახსოვრად ჩუქებული არაფერი გქონია აქამდინ? ცოტა ოდენი ფული იქნება მამასაც გამოვტყუო (გარბის)

ირინე. რას ამბობ სოფიო! სად მიხვალ? სოფიო, სოფიო!

სცენა 9

ირინე და ბიჭი

(ბიჭს შემოაქვს პაკეტი და აძლევს ირინეს.)

(ირინე ხსნის პაკეტს და კითხულობს თავისთვის) ესეც მხარგელაძისაგან არის. ყოჩაღ, ყოჩაღ! ჩქარა უშოვნია. რას იწერება? გიგზავნით ორმოც თუმანს, და დანარჩენსაც ამ დღეებში მოგართმევთო. თუნდა დანარჩენი არ იყოს, ესეც საკმაოა, რომ ცოტათ გავამხიარულო ჩემი ქმარი. ძრიელ დაღონდა, უეცრად რომ გაიგო ჩემი სიღარიბე. საწყალს სულ ეგონა, რომ ათას ათას თუმნებს მოვიტან, მაგრამ ამის მაგიერ ფეშქაშათ მივართმევ ჩემ ბებრუხუნა დედას, მაგრამ მეშინიან არა აიტეხოსრა! (ფანჯარაში იხედება) აჰ, ნეტავი ჩქარა მოვიდეს, გავახარო, რომ ერთ დღეში, მარტო მხოლოდ ერთ დღეში ას თუმანზე მეტი მოვაგე. სამდურავებს ვეღარ გაბედავს, რადგან თითონ თავის სამსახურით და ქაღალდის თამაშობით ამოდენა ფულს ორ-სამ თვეშიაც ვერ მოიგებს. ვერც დამემდურება, „ფულები რათ გამოსტყუეო?! გამოსტყუე რა სათქმელია! მეტიც უნდა მოეცათ, მე რო არ ვყოფილიყავ, მაჭანკალს მეტსაც მისცემდენ.

სცენა 7

ირინე და ბამბაშვილი

(შემოდის ბამბაშვილი) თავისთვის. ცუდი რამ დამემართებოდა, ისე გაჯავრებული ვიყავ, მაგრამ დამხვდა ჩემი ძველი ნაცნობი ბურნუთოვი და მანუგეშა: ქალის სიმდიდრე ჭკუაშია და ხერხშიაო, ჭკვიანი ქალი მზითვიანზე მეტად გაგამდიდრებს და გასიამოვნებსო, ჩემი ირინე ხერხიანი ქალია, ძლიერ ხერხიანია და ამიტომაც ვურიგდები, აღარ ვჯავრობ, თუმც მეტად მომატყუილა. მაგრამ არაფერია, ამას იქით სხვას მოატყუილებს და მე ამით წაგებაში არ ვიქნები... მაგრამ თავს მძიმეთ დავიჭერ ვითომ ვჯავრობ. ეს საჭიროა, რომ არ დამიბრიყოს და არ შეეჩვიოს ჩემ მოტყუებას.

ირინე (ისე ადაგებს პორტმანში ფულს, რომ

ბამბაშვილმა ნახოს)

ბამბ. ღვთის მადლით ფული გაგჩენია, ქალო! ქოხში გადასახლება საჭირო აღარ იქნება (თავისთვის) აი ხერხიანი ქალი! როგორც გაუჯავრდი, მაშინვე სქელი ასიგნაციები იშოვნა. მიკვირს კი საიდან! მაგრამ იქნება მეხუმრებოდა, იქნება ფიქრობდა: მოდი გამოვცდი ჩემ ქმარსაო, ღარიბად ვაჩვენებო.

ირინე. ნუ გგონია, რომ მე შემირთე და გაღატაკდი. მე ჩემთვის ყოველთვის ვიშოვნი საკმაოთ ფულს. იქნება ცოტაოდნავ კიდეცა, როცა გაჭირვებაში იქნები, როცა ფული დაგაკლდება.

ბამბ. საიდამ ქალო? მე ქმარმა უნდა ვიცოდე, საიდამ შოულობ ფულებს.

ირინე. თუ ღმერთი გწამს ნუ იკვიანობ, მე ყოველთვის ანგარიშს მოგართმევ ხოლმე, როგორც ვიშოვნი ფულს, იქნება შენც ისწავლო ჩემგან ხერხი და შენც გაყოჩაღდე.

ბამბ. ნუ მაწვალებ, ირინე, მითხარ პირდა პირ შენი ქონების ამბავი! გეფიცები მე შენი გაცურცვა არ მინდა! რაც რამ მზითევი გაქვს სულ შენ სახელობაზე დარჩეს. ქრისტეს მადლმა, ერთ მანეთისას არაფერს არ დაგაკლებ.

ირინე. ან ვინ მოგცემს, რო დააკლო. მართალს გეუბნები, რომ რაც მაცვია იმის მეტი არა მაქვსრა მზითვათ, მაგრამ ვმდიდრდები, გავმდიდრდები და გაგამდიდრებ.

ბამბ. რა კომედიას თამაშობ, ქალო? მე არ გეხუმრები, თქვი და გაათავე.

ირინე. მაშ დამიგდე ყური. დღეს მე მოვიგე ორმოცი თუმანი ფულად. ეს ნივთეულობა, რომელიც უეჭველია, ოცი ორმოცი თუმანი ღირს. ამდენს ერთად ერთ დღეში შენ, მგონია ვერასდროს ვერ მოიგებდი, თუმცა ორმოცი წელიწადია მეტი ქაღალდის წყვეტით ფულს ეძებ.!

ბამბ. ნუ მაბრაზებ ქალო! ამიხსენ პირდა პირ შენი ფოკუსები!

ირინე. დღეს დავპირდი შენ ადრინდელ საცოლეს სოფიოს და შენ მოქიშპეს მხარგულაძეს ერთმანეთთან შერიგებას. ამ დღეებში ვმართავ იმათ ქორწილს. ამ შრომისათვის სანამ მაჩუქეს ეს ფული და ნივთები და სხვას ამოდენას კიდევ დამპირდნენ.

ბამბ. აჰ ირინე, ძლიერ, ხერხიანათ მოქცეულხარ, მტრებს შერიგებიხარ და ამისათვის პირიქით იმათთვის გამოგირთმევია საჩუქარი.

ირინე. აჰ, ჩემო გულო, ნეტა ჩემთვის განათლება მოეცათ, აბა მაშინ გიჩვენებდი ჩემ ხერხს! მთელ ქალაქის ბატონათ გავხდიდი.

ბამბ. ქალო, სულ ქკუიდან ვიშლები, ვისაც გინდა დავენაძლევები, რო ჯადოსანი ყოფილხ.

ირინე. განათლება, რომ მქონოდა, გავიცნობდი მაღალ საზოგადოებას, ღენერლებს და სხვა დიდ-კაცებს, გავიგებდი იმათ ზნეს და ჩემებურად დივგრეხდი. დღე და ღამ ეწვალები, ძალა და მოსვენება არა გაქვს, დღე და ღამ ქაღალდს თამაშობ და კვირაში ძლივს ერთ-ორ თუმანს იგებ. ღირს მაგისათვის მაგდენი შრომა? გიშოვნიდი ისეთ ფულ-ფანტია, ცერცეტა მდ დარ ყმაწვილ კაცებს, რომლებიც ისწავლიდნენ შენგან რიგიანად თამაშობას და ამ სწავლისათვის ღირსეულად დაგაჯილდოებდენ. ღენერლებს რომ გავიცნობდი ინტენდანტსტვოში გადაგაყვანინებდი, ან პოლკს ჩაგაბარებინებდა. აბა მაშინ გაგვილებოდა ოქროს მადნები! თორემ ეხლა... მარტო გამხმარ ცხვრებს ვკრეჭ, ვერ გავმდიდრდებით. ვერ დავტკბებით ქალაქის ცხოვრებით.

ბამბ. აჰ, ირინე, წელანდელ უსიამოვნებისათვის მაპატიე. იყავ ჩემი ბატონი, მიბრძანე და ყველაფერს აგისრულებ. განათლება მოინდომე? შიმშილითაც რო ვკვდებოდე, უკანასკნელ გროშს შენ სწავლისათვის არ დავზოგავ, ოღონდ ქვეყანაში გამოხვიდე, დიდ-კაცებში გაერიო (ხელზე ჰკოცნის ირინეს) მაგრამ შიმშილით სიკვდილი რას მიქვიან! ომშა იჯარებმა მარგუნეს სამ ათასი თუმანი, არავის არ უთხრა სამი ათას თუმანზე მეტიც მომავალ შვილებისათვის ვინახავდი, მაგრამ თუ გაგვიჭირდა დავხარჯოთ, არაფერია. მაგრამ ვისაც ამისთანა ცოლი ჰყავს ის არასოდეს გაჭირებაში არ უნდა იყოს, მილიონი ღირს, მილიონი! (ამ დროს კარებში შემოვა ირინეს დედა ბოხჩებით და ზანდუკით)

ბამბ. (ცოტა სანუმის შემდეგ) მილ... დიახ ჩემი ცოლი ძლიერ ძვირად დამიჯდა.

ფარდა

გ. თუმანიშვილი

კომპოზიტორი რევაზ გოგნიაშვილი
ოპერა „ქრისტინე"-ს ავტორი

ოპერა „ქრისტინე"

ქართულ ორიგინალურ ოპერას, ქართველ მომღერალ-მუსიკოსთა კავშირის თაოსნობით, ძლივს ბედმა გაუღიმა. მაისის 21, 23 და 25 ქართულმა კლუბმა ხსენებულ კავშირის მეცადინეობით, წარმოადგინა ახალგაზრდა კომპოზიტორის რევაზ გოგნიაშვილის პირველი ორიგინალური ოპერა „ქრისტინე" ჩვენი სულმნათ ეგნინოშვილის მოთხრობისა და პ. ირეთელის პიესის თანახმად დაწერილი. მართალია, „ქართული ოპერის" სახელით ამ ათი წლის, წინად დაიდგა რაღაც, მაგრამ ის იყო თარგმნილი, უცხო მუსიკა, ხოლო შემდეგში, თუ ქართული იდგმებოდა რამე— ნაწყვეტები, ისიც იშვეითად. ამ ოპერამ-კი ერთბაშად ახალი სხივი შეაშუქა ჩვენს სამუსიკო ცხოვრებაში: ქართველი კომპოზიტორი, შინაარსი ქართულ-ხალხური, მუსიკა განსაკუთრებით ბოლო მოქმედებები ნამდვილი ჩვენი ეროვნული. ყოველივე ეს, დიაღაც, რომ დიდი ყურადღების ღირსია. ქართველ მუსიკოს-მომღერალთა კავშირი, რომელიც ეს შვიდიოდე თვეა რაც დაარსდა დიდი შრომა დიდი შეხლა-შემოხლა დასჭირდა, ვიდრე ამ ოპერას მზის სინათლეს აჩვენებდა. აქვე საჭიროა მოვიხსენიოთ რომ ქართულმა კლუბმაც თვისი წვლილი არ დაზოგა ამ ოპერის დასადგმელად და განსაკუთრებით დიდი ღვაწლი დასდო ქართული კლუბის აწინდელ მამასახლისთა საბჭოს თავჯდომარემ ნიკ. გიორ. ქართველიშვილმა, როგორც ლოტბარ-ხელმძღვანელმა.

როგორია მუსიკა?

იშვიათად მინახავს ოპერა, რომლის მუსიკა ასე ჩაჰქსოვებოდეს შინაარსსა და აღებულ აზრის განვითარებას. ერთის შეხედვით, პირველი ორი მოქმედების მუსიკა თითქო სავსებით ჩვენი მშობლიური არ არის არა ნამდვილი ეროვნულ-ხალხური მაგრამ ეს ერთი შეხედვით.

ყოველი მოქმედების დასაწყისშივე, ფარდის ახდამდე, მუსიკა გველაპარაკება, რას ვნახავთ. აგერ პირველი სურათი: მუსიკა რიხიანი, ქჩო აყრილი, მაღალ ფარდოვანი, გალაღებული! და ხუ თუ ასეთი არაა თვით ცხოვრება მარიკა დათიასი?—მართალია ღარიბი ხალხია, მაგრამ მათ სიამაყეს ჰმატებს თავისი მარჯვენა შრომის სიყვარული და ქრისტინე, რომელიც სოფლის თვალია და რომელსაც სხვა და სხვა სიმღერებით ამკობს სოფლის ახალგაზრდობა. მეორე სურათი მიჯნურობის ბაღი. მიჯნურთა სულის კვეთების ქსელია: ნაზი ქრისტინე და ლაღი იასონი, ორივე ერთ ს გრძნობით გატაცებული... მუსიკაც მათთან ერთად ნაზობს, ლაღობს და ხან, თითქო რაღაც იჭვი შეიპყრობს. მესამე სურათის ფარდა არ ახდილა. არ იცით, სცენაზე რა ამბავია, მაგრამ უკვე მუსიკა კვნესის—სული აღამიანისა, ჯოჯოხეთის სურათი გეშლებათ. და მართლაც, აიხდება ფარდა: აგერ მიტოვებული ქრისტინე, ნაზუშრით სევდით მოცული, აგერ დათია,—ბოღმით გაშმაგებული, აგერ მარიკა—შვილის ვარამით გათანგული... და მუსიკაც კვნესის, ტირის, ბოღმობს... მესამე სურათი მუსიკა აგრეთვე გაცნობებთ რომ ცხოვრების წუმპეში, გზადაბნეულთა მახეში, სულით დავრდომილთა სამეუფოში შესდიხართ... აიხადა ფარდა და... თქვენს თვალ წინ იშლება საროსკიპო სახლი, სადაც უმანკო ქრისტინე გამხეცებულ ადამიანთა შორის მოემწყვდევა: ეს მისი სამარე... მეხუთე სურათის ფარდა არ ახდილა და უკვე მუსიკა მაღლა მიაფრენს, რომ წუთით მაინც დაგავიწყოსთ ეს ცხოვრება; აიწია ფარდა—ორთაჭალის ბაღში გადადიხართ ცხოვრებისაგან გარიყულ მოქეიფე ქალ-ვაჟთა შორის... აქ ტალახიანი ცხოვრება ზეიმობს: სიმღერა, თამაში .. და მუსიკაც მღერის, თამაშობს, სევდით მოცული. რენო-რანინა ჩარი-რამა და სხ. გიღიტინებთ, გიტაცებთ .. და ამ უზრუნველ ხალხში უცებ რომ შემო~ჭრება ცხოვრებისგან განწირული-გაუბედურებული ადამიანი, ამას მუსიკა წინადვე აღნიშნავს და მოქეიფეთა ეშხიც იჩრდილება... შემოდის უბედური ქრისტინე... კვნესის სული მისი და კვნესის მუსიკაც.

ნაკლი? უეჭველია ნაკლიც მოეპოება, მაგრამ არც იმდენი, რომ აღნიშვნად ღირდეს: ოპერა ისედაც არა ჩვეულებ~ივ პირობებში დაიდგა და ამითაც მადლობელი უნდა ვიყოთ.

ვუსურვოთ ახალგაზდ. კომპოზიტორს ამაზე არ შეჩერებულიყ ს მისი მადლიანი ხელი და ნიჭი. აქვე ცნობად უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენმა ჟურნალმა „თეატრი და ცხოვრებამ" ჯერ კიდევ ამ რვა წლის წინად (1910წ.) მიაქცია მის ნიჭს ყურადღება, მისი სურათიც კი მოათავსა და დღეს ნაყოფი ვიხილეთ. ვისურვოთ მისი ნიჭის გაფურჩქვნა.

როგორ აღასრულეს ოპერა, ამაზე შეედეგ.

ექიმი შტოკმანი

*
* *

ბნელი გაირღვა, გათენდა დილა...
ბოროტ—ავსულებს ელება ბოლო,
ძველსა წარხოცავს ახალს გადაშლის
ეკლის გვირგვინზე წმინდა სიმბოლო ..
და მაშინ შენცა, ჩემო მშობელო,
მწამს რო აღზდგები გაშალე ფრთები
ნუ დაივიწყებ განვლილ წამებას.
და კვლავ წამებით აღარ იქნები...
ნუ-ვის ანდობ შენს ობოლ შვილებს,
გემუდარები მსურს თვით უვლიდე
რომ მასში სჩქებდეს ქართული სისხლი,
და საძი კველსა შენვე უყრიდე.
მე მითი ვილხენ ჩემს სიცოცხლეში
რომ შენ გექნება ძლევა—დიდება,—
შენ ხომ წარსულში გმირი ყოფილხარ—
და ვინც ყოფილა—კიდეც იქნება!

საშა

ნაძრახი სიცოცხლე

სოფელი იმად არა ღირს,
კაცი ნატრობდეს უამრავ ძელსა,
თუ ფუჭი მისი სიცოცხლე
ვერარას არგებს მამულსა!

გ. ორბელიანი.

ჯეშმარიტად ფუჭია ჩვენი სიცოცხლე, თუ მით ვერას კარგებთ მამულს. ქართველს ნაძრახი სიცოცხლის ტრფიალება არ სჩვევია, მაგრამ სუბედურად დღეს მასაც-კი ვეპოტინებით; ოდონდ ვიცოცხლოთ და სულ ერთია სასელოვანი იქნება იგი თუ უსახელოთ: სშირად გაიგონებთ დღეს ქართველ ასალგაზრდობისგან.

მეტი დამცირება, მეტი დაკნინება აღარ იქნება, რის მოწმეც ვართ ამ მეტად საშინელ დროში. გვამცირებენ მტრები, არ გვინდობენ მეზობლები, რომლებიც ოდეღ ძმად მიგვაჩნდა, რომელთ ჭირს და ლხინის მოზიარე ვიყავით, რომელთათვისაც არ ვიშურებდით ზრუნვასდა ფიქრსა მათივე საკეთილოდ. დაუმსახურებელი ღალატი და რისხვა მიგიღია, ჩვენი სისხლით დაიბანეს ხელები. აქარლებს ფესაუფლურები, ძალიერ მტკივა გული, რომ ვერ შეიგნეს და შეითვისეს სიკეთე, რაც ჩვენ მათზე მიგვიძღვის, მაგრამ კანა მეტი არ იოქმის აქაურ ჩვენ ძმებზე, რომლებიც არც კანსაკვლებიან ქართველებისაგან! მეტი იოქმის და მეტსაც ვიტყოდი, მაგრამ კანა შეიგნებენ საკეკლურის მნიშვნელობას ის ბიერები, რომლებსაც ვერ შეუგნია დღევანდელი მდგომარეობა ჩვენი საშობლოსი!! დახმარების ნაცვლად ქართველი ერის ღამლუბველ საქმეებს ჩადიან, არეულობასა და ძალმომრეობას ამეფებენ სოფლად და ქალაქად და მტრის საწინააღმდეგო ძალებს ისედაც მოუწყობელს და მტირელს მოლად ქსაქსავენ და ამტირებენ.

მერე ვინ არიან ეს ანარმეიოსაღამიანები, რომლებსაც ეგზომ მოუწადინებიათ ჩვენი ერის დაღუბვა?

სწორედ ისეთი უღირსი შვილები, როგორიც თითქმის ყველა ეროვნებას მოეზოვება მის დირსების დამამცირებლად.

„ოჯახი უმახინჯოდ არ იქნებაო“ ამბობს ქართული ანდაზა და თუ ეს ასეა, როგორ იქნება ერი უმახინჯოდ?

ბევრი ეკვს უღირსი და მახინჯი შვილი ჩვენს ტურფა სამშობლოს, მაგრამ უიმედობა მაინც არ არის, ოცჯერ მეტი გვყავს ღირსეულნი და იმედია, ღირსეულნი გაიმარჯვებენ, რომ სისხლით მონაბოვარი თავისუფლება შეანარჩუნონ საუკუნოებით კანაწამებ ჩვენს ქვეყანას.

დიდი ხნის ჭირობამ, მტრის კალთაზე, თუ უფრო ფეხთ ქვეშ თავის დებამ, იკრე დაუძლურა თურმე ჩვენი ერი, რომ მთლად დაუკარგავს თვით ადამიანის უნარი, საკუთარი თავზე ზრუნვის ძალა და სრულებით აღარ გვანან იმ გმირ ქართველებს, რომლებსაც ეკუთვნიან ჩვენი წარსული ისტორიის ფურცლები

სატირალია ასეთი ნაძრახი სიცოცხლე, ასე რომ გვერდით დიდი იმედი არ ასდგეს, რომელსაც საბედნიერო სინამდვილეშიც მივეყვართ.

კიდევ ცოტა ხანი და თვით უგრძნობიც კი იგრძნობს შინა მოვალეობის ღალატს. იმედი, იმედი სულს ასაზრდოებს, სინამდვილეს ანახლებს.

კლავდია გაბუნია.

„სლაბოდნობა!“

(სცენა სინამდვილიდან)

ქალი (დედას). მე შენ გეუბნები ტუფლები მიყიდე მეთქი. არა, როდემდის უნდა დავიარო ამ დაგლეჯილ ფეხსაცმელებით?

დედა. ნეტავ თვალიამც გამოგეყლეტია! რა დროს ტუფლებია? ვერა ხედავ თურქები კარს მოგვდგომიან? საცაა აქედან უნდა გავიქცეთ.

ქალი. მე არსადაც არ გავიქცევი! (ჯავრებს) ხან ბალშევიკები მოდიან, ხან თურქები, ხან ეშმაკმა იცის ვინა! მე გეუბნები ფეხსაც არ მოვიცვლი. არა, ჩემი ლადუშა აქ დარჩეს და მე სხვაგან გავიქცეე?!

დედა. ეეი! მეხი შენც დაგეცა და იმ შენ ლადუშასაცა ანჯა! თქვენი ჭირიმეთ, გაგონილა! დღეს ყველანი ჯურა—ჯურათ

ხალხი არა ხართ? ქა! თქვენსაც ეს ამბებია!!?

მეზობლები. ეჰ, ფეფელ! ჩვენსკენ უარესია! მაგაზე რა გულს იხეთქ. ხოხედამ სლაბოდნობაა

დედა. როგორ, თუ სლაბოდნობა! მაშ დიდი და პატარა აღარ არის? შვილმა დედას არ უნდა გაეგონოს? ეს სადა თქმულა და გაგონილა

ქალი. წინათ ეუ არ თქმულა, ეხლა ხომ გესმის სლაბოდნობაა! ჩემი თავისა ბატონი მე ვარ. გეყოთ რაც ამდენხანს თქვენ ბუქნაზე მათამაშებდით. ეხლა ჩემ ნებაზე უნდა ვითამაშო

დედა. უი, შავ ჭირსაც წაეულიხარ, მე უნამუსო, შენა! ითამაშებ და სახლში აღარ შემოხვიდე. შენი ფეხი აღარა ნახოს ჩემმა თვალმა.

ქალი (სიცილით) უკაცრავად! ეხლა სახლის პატრონები მდგმურებს ვერ ითხოვენ და შენ დამიშლი სახლშა შემოსვლა! ს ეგ შენი საქმე აღარ გახლავს, ეს ,,დამოვი კომიტეტების'' საქმეა. წავალ კიდეც მოვალ

კიდეცა. გათენებისასაც რო მოვიდე, შენ ნება არა გაქვს კარი დამიკეტო! მაშ!.. მე შენ გეუბნები სლაბოდნობაა, სლაბოდნობა მეთქი! (ბაუჯა) მაშ არ მიყიდი ტუფლებს? კარგი! ეხლავ წავალ ლადუშასთან და ხვალ დილს ახალი ტუფლებით დავბრუნდები! (გარბის)

დედა (მარტო. დიდხანს გაშტერებული) ვაი შავ და უკუღმაც ეს დრო! წავიდეს და აღარ მოვიდეს! გენაცვათ, რა დრო დადგა! ეს რეების მომსწრე გავხდი ამ ლიბერის დროს? მეორედ მოსვლაა სწორედა! უი წარღვნა მაინც მოვიდეს და თან წაგვიღოს ყველანი.

მეზობლები. ფეფელ! აბა გულს რაზე იშფოთებ? თუკი სალდათი თავის მინისტარს ყურს არ უგდებს და არაფრად აგდებს, ჩვენი შვილები რაში გავამტყუნოთ? რამდენი ხანია ბილაზაციაა! ერთი არავინ მოდის საომრად. ყველა იმალება, ლოთობენ, ჩხუბობენ, ერთმანეთს ხოცავენ და მტერი კი ცხვირწინ წამოგვდგომია!..

დედა. ვაი ჩემო თავო! ვაი სირცხვილო? ვაი ნამუსო! სადღა უნდა გამოვყო თავი?! მაშ ეს ყოფილა სლაბოდნობა?!!

(გაშტერებული რჩება.) სანდრო ბაქრაძე.

შარადა

როდესაც ბავშს მოუკვდება დედმამა თვის გამზრდელი,
მის შემდეგ თუ რაც დაერქმის თქვენ ბრძანეთ მისი სახელი
ეხლა მოვნახოთ ვინც არი თვის ბედის დამაწყევარი;
ვისაც შუბლიდან გადმოსდის მუდამ სიმწრისა ოფლ-ღვარი
რომელ არ ახლოს ერთხელაც რო ყოფილიყოს დამტკბარი
შრომობს მშიერი მის შრომით უფრო სხვებია მაძღარი.
ამის წოდებაც ზემორეს რომ მიუმატოთ მთელადა,
მიიღებთ ნიჭიერ მგოსნის ფსევდონიმს ხელდახელადა...

ვარდენ ყიფიანი

სხვადასხვა ამბები

საქართველოს დამოუკიდებლობა გამოცხადდა ჩვენს დედაქალაქ თბილისის სასახლეში ნაშუადღევის 5 ს. ეროვნულ საბჭოს, მწერლობის წარმომადგენელთა და დიდძალი ხალხის თანდასწრებით. აღფრთოვანება ენით გამოუთქმელი იყო. საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის დაცვის აუცილებლობაზე სასახლიდან ილაპარაკეს ნოე ჟორდანიამ, კაკი წერეთელმა, კარლო ჩხეიძემ შ. მესხიშვილმა, ვ. გელაძემ, შ. ქარუმიძემ, ი. როსლმა, პ. იაშვილმა და სხ. მიულოცეს: მუსულმანებმა პოლონელებმა, გერმანიის ოფიცერმა კაიზერმა, ამიერ კავკასიის ნემენცებმა, ჰაიდარ აბაშიძემ, ბერძნებმა, ებრაელებმა, უკრაინელებმა, ლიტუველებმა, ქართ. ებრაელებმა. მოდის მრავალი დეპეშა მოლოცვისა.

საქართველოს მთავრობამ გადასწყვიტა: უკეთუ ოსმალეთის ჯარი საქართველოს შემოესევა, სასტიკი წინააღმდეგობა გაუწიოს.

გერმანეთმა საქართველოს აღუთქვა მფარველობა, მიწაწყლის დაცვა, შეიწყნარა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის დამოუკიდებლობა დანიშნა თვისი ელჩი საქართველოში და შეპირდა საქართველოს დამოუკიდებლობას შევაწყნარებინებ ჩემს მოკავშირეთა და რუსეთსაც.

ოსმალეთის ულტიმატუმის გამო ბათომს გაიგზავნა სახ. დელ. ნ. რამიშვილის, გენ. ბ. ოდეშელოძისა ვ. გვაზავას და გ. რეხლაძის შემადგენლობით.

დადგენილია გამოიცეს საქართველოს მთავრობის გაზეთი ,,საქართველის რესპუბლიკა'' რედაქტორად მოწვეულია პ. ქავთარაძე.

თბილისის სამეცხოვნე უფროსი გენ.-მაიორი ახმეტელაშვილი აცხადებს: სახაზინო ნივთების—იარაღის, ტანისამოსის და სხ. ყიდვა-გაყიდვაში შემჩნეულნი დაპატიმრებული იქნებიან 6 თვით ანუ ხუთასი თუმნით დაჯარიმდებიან.

საქართველოს რესპუბლიკის განსამტკიცებლად საგურამოს რაიონში შესდგა განსაკუთრებული რაზმი, გრ. ტარ, მაჭვარიანისა და ილ. გიორ. ბექაურის თაოსნობით. რაზმის მეთაურნი უკვე თბილისში იყვნენ და სამხედრო მინისტრის გადასცეს თავისი გარდაწყვეტილება, რომ თუ საჭიროებამ მოითხოვა, რაზმი თვის სიცოცხლეს არ დაზოგავს საქართველოს თავისუფლებისთვის და სისხლის უკანასკნელ წვეთამდე იბრძოლებს.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობამ განკარგულება მოახდინა, იარაღი ჩამოერთვას ყველას, ვინც ლაშქარში, გვარდიაში ანუ მილიციაში არ ირიცხება და თავდაცვის საქმეში არ მონაწილეობს. იარაღი უნდა წარადგინონ წითელ გვარდიელთა შტაბში (სასახლეში) ან სამეცხოვნო სამმართველოში (საკომენდანტოში).

შესდგა თავდაცვის საბჭო, რომელშიაც შედიან მთავრობის თავჯდომარე, მთავარსარდალი, სამხედრო ვეზირი, ქალაქის (ციხის უფროსი, ჯიორის კაცთა და მუშათა საბჭოს წარმომადგენელი და ქალაქის საბჭოს რწმუნებული.

გაოცხადდა საალყო წესი.

სასტიკად დაისჯებიან, დახვრეტითაც-კი, ვინც საქართველოს მიწა-წყალზე რაიმე უწესოებას მოახდენს

ბრძოლის ველიდან გამოიქცევა, მცარცველობას დაიწყებს ანუ საქართველოს მთავრობის განკარგულებით ეურჩება.

დაწესდა უზენაესი სარევოლიუციო საბჭოსი.

საქართველოს ლაშქრის მთავარ სარდლად დაინიშნა სამხედრო ვეზირის თანაშემწე გენ-მაიორ. გ. ი. კვინიხიძე,

საქართველოს მთავრობის პირველმა სხდომამ მაისის 28 დაადგინა დაარსოს საქართველოს ეროვნული ბანკი.

საქართველოს პარლამენტის (ეროვნულ საბჭოს) პირველი ყრილობა შესდგა მაისის 29 სასახლის თეთრ დარბაზში ნ. ჟორდანიას თავჯდომარეობით. დაესწრენ: საქართველოს მთელი შემადგენლობა, საბჭოს წევრნი, პრესის წარმომადგენელნი და საზოგადოება (ბილეთებით). ყრილობამ მოისმინა: მოლოცვები, სამანდატო კომისიის მოხსენება (პარლამენტის წევრთა რიცხვი 12-დე აიყვანეს), მთავრობის განმარტება სოც-ფედერალისტთა შეკითხვაზე ადერბეიჯანის დამოუკიდებლობის შესახებ და ეროვნულ საბჭოს თავჯდომარედ ერთხმად აირჩია კარლო ჩხეიძე.

ვიქტორ გამყრელიძის 30 წ. სასცენო მოღვაწეობის სადღესასწაულო წარმოდგენა ამ მოკლე ხანში გაიმართება.

სახალხო სცენის მოყვარის იოსებ რევაზიშვილის საბენეფისოთ ივნისის 6 არტისტიულ თეატრში წარმოდგენილი იქნება ახალი აზიური ოპერეტა „მაშდი იბადი“ თარ. ვ. გიგოშვილისა მობენეფისე შეასრულებს მაშდი იბადის როლს, რომლის რიგიან ალმასრულებლად ითვლება.

ალ. წუწუნავა მიწვეულია საქართველოს სახელმწიფო თეატრის კომისრად.

გრ. საქარიქედელმა დ. კლდიაშვილის მოთხრობა „მსხვერპლი“ ორ მოქმედებიან პიესად გადმოაკეთა.

ქართული კლუბი მაისის 31 საზაფხულო შენოში გადავიდა. კლუბი ივნისის 8 სიმღერის მასწავლებლის ხელმძღვანელობით გამართავს წარმოდგენას კონცერტს. დაიდგმის „ევგენი ონეგინი“, ორი სცენა და საკონცერტო განყოფილება. 11 ივნისს ორკესტრი საბენეფისოთ ოპ. „ქრისტინე“ 12 ივნ. კოლოტთვის საღამო „სევილიელი დალაქი“.

კომ. დ. არაყიშვილის ვოკალური კვარტეტი გაიმართება ქართულ კლუბში ამ მოკლე ხანში.

„**თეატრი და ცხოვრების** სასარგებლოდ ქართულ კლუბში სამშაბათს, ივნისის 4 წარმოდგენილი იქნება „არშინ მალ ალან“, აზიური ოპერეტა, თარგმანი ვ. გიგოშვილისა. პიესას დასდგამს ცნობილი დასი, ვ. გიგოშვილის, მ. ჯანელოვის, მ. მარგველაშვილის, მირველოვის, ჩაგუნავას, ფეიქრიშვილის, იოსებ რევაზოვი და სხ. მუსიკას ხელმძღვანელობს ცნობილი მეთარე სიმონა.

ეროვნული კონცერტი. ორშაფათს, 10 ივნისს ახალი სტილით ქართულ სამხედრო კავშირის ქალ-ვაჟთა გუნდი კომპ. ნ. პ. სულხანიშვილს ლოტბარობით მართავს პირველ ქართულ ეროვნულ კონცერტს, ეროვნულ ნაწარმოებთაგან ჩვენის კომპოზიტორების: დ. არაყიშვილის, მ. ბალანჩივაძის, ნ. სულხანიშვილის, გ. ფალიაშვილის და ი. ჯაბადარის. კონცერტში მონაწილეობენ ი. პ. სარაჯიშვილი, ო. კალანდაძე და ვ. ლორთქიფანიძე. კონცერტის გამგეთ სამხედრო კავშირის მიერ დანიშნულია თავისუფალი ხელოვანი და ვიოლონზე დამკვრელი ილიკო აბაშიძე. ბილეთები უკვე იყიდება კლუბის კასაში. კონცერტზე მოწვეულია კათოლიკოს-პატრიარქი კირიონი, რომლის პატივსასაცემლად ნ. სულხანიშვილმა დასწერა „ვინ დესპოტინ, გუნდის მიერ შესასრულებელი.

ქართველ სამხედრო კავშირის ეროვნული გუნდი: მიწვევულია კ ფოცხვერაშვილის ჰ მნის შესასრულებლად.

ქართულ მუდმივ სცენის დაარსების დროს, მის რეჟისსორს გ. თუმანიშვილს გადათარგმნილი ჰქონია ფრანგულიდამ ალფრედ მიუსსეს ცნობილი კომედია სამს მოქმედებად „შანდანი“, მაგრამ ის თავის დროზე არ ყოფილა ქართულ სცენაზე წარმოდგენილი, რადგან პიესაში ძნელად ასასრული როლებია: ერთი დრამატიულ ახალგაზდა ქალისთვის და ორი დრამატიულ მოარშიყე ვაჟისათვის. ამ ჟამად მთარგმნელს სურს ეს პიესა შეასწოროს და გადასცეს ქართულ დრამატიულ საზოგადოებას.

სამსონ დადიანმა ოსმალების წინააღმდეგ დიდი მამაცობა გამოიჩინა.

ფასანაურში შაბათს მაისის 25 ანნა გალაშვილის თაოსნობით, ადგილობრივ მასწავლებელთა და მოწაფეთა მონაწილეობით გაიმართა საბავშო საღამო. შემოსავალი, ხარჯის გარდა, 268 მან. საქართველოს ეროვნული საბჭოს გადაეცა.

თეატრი და ცხოვრების პატივცემულო მეგობარ - თანამგრძნობნო! საერთო სიძვირისა გამო ჟურნალი ნივთიერ დახმარებას საჭიროებს. ვისაც ჟურნალი გაინტერესებთ - დაეხმარენით.

შემოწირულება

„**თეატრი და ცხოვრების**“ ფონდის გასაძლიერებლად მივიღეთ: 1, ელენე პორფირ. ასულის თავალამ საგან შეკრებილი 602 მან. 2, ივანე სვიმ. კოლელიშვილისაგან (მეორედ) 140 მან.

თითო თუმანი: ნ. ერისთავისაგან, ლ. ლ. ჩერქეზიშვილისაგან, ფ. ავალიშვილისაგან, სვ. ყიფიანისაგან, ვალ (გიორგი) ტატიშვილისაგან: ხუთ-ხუთი მანათი: ივ. მაჩაბლისგან და ს. ყახაშვილისგან, სულ 802 მან.

შემომწირველთ გულითად მადლობას უძღვნით. რედ.

რედაქტორ-გამომცემელი **იოსებ იმედაშვილი**